# ჩხიკვთა ქორწილი

ვაჟა-ფშაველას მიხედვით



ილუსტრატორი:

**ვარლამ ჯმუხაძე**

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა



ეს ამბავი დიდ, შავ,
დაბურულ ტყეში მოხდა...




სოფლებიდან და ქალაქებიდან
ძლიერ დაშორებით.

ჩხიკვი ზაქარა ჯვარს
იწერდა ჩხიკვ ქეთევანზე.



მეფე-დედოფალს ჯვარს
სწერდა მხცოვანი ჩხიკვი თომა.

სტუმრად უამრავი ფრინველი მოეწვიათ.



ფრინველებმა ნადიმისთვის მშვენიერი ადგილი შეარჩიეს.



სუფრაზე ათასნაირი საჭმელი და ხილეულობა ელაგა.

ყვავილებსაც უხაროდათ, ქორწილში ისინიც იყვნენ დაპატიჟებულნი.



ჯვარდაწერილები ყვავილებით მოფენილ ტახტზე დასვეს. სტუმრები მაგიდას შემოუსხდნენ.



ყველამ ადღეგრძელა
ზაქარა და ქეთევანი.
ძღვენიც ყველამ მიართვა.



იქვე, ერთი ხის ტოტზე კოდალა იჯდა და ნისკარტით ხეს უკაკუნებდა.




– შენ, ეი, აქ ჩამობრძანდი! – ერთხმად შესძახეს კოდალას ფრინველებმა.